



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 7/04

2019 წლის 23 იანვრიდან კომერციული ბანკები უფლებამოსილნი არიან 100 000 ლარის ნაცვლად 200 000 ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი გასცენ უცხოური ვალუტით საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე ან/და საქართველოში არარეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.

#### საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონი

2019 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ტერიტორიაზე ნადი ფორმით ანგარიშსწორება ხორციელდება მხოლოდ თანხის დამრგვალების პრინციპის საფუძველზე.

თუ პროდუქტის/მომსახურების გადასახდელი თანხა არ მთავრდება 0-ზე ან 5-ზე, თანხის დამრგვალება ხდება შემდეგი პრინციპით:

- ა) 1 და 2 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 0-მდე;
- ბ) 3 და 4 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით 5-მდე;
- გ) 6 და 7 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება ნაკლებობით 5-მდე;

დ) 8 და 9 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა მრგვალდება მეტობით 10-მდე.

დამრგვალების პრინციპის შესაბამისად, ფასები თითოეულ პროდუქტზე/მომსახურებაზე რჩება უცვლელი.

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2019 წლის იანვრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამოქმედდა ახალი ცვლილებები, კერძოდ:

➤ 5051 მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციის მიხედვით:

განვადებით ნასყიდობისას, თუ მყიდველის ჯამური ვალდებულებები ამავე გამყიდველის მიმართ 200 000 ლარს არ აღემატება, ნივთის ფასი არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.

➤ 576-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით:

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი და ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულებები ლიზინგის გამცემის მიმართ 200 000 ლარზე ნაკლებია, საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.

➤ 625-ე მუხლის მე-7 და 868-ე მუხლის მე-8 ნაწილების მიხედვით:

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, 200 000 ლარამდე სესხი/საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსესხებლის ჯამური ვალდებულებები ამავე სესხის/საბანკო კრედიტის გამცემის მიმართ 200 000 ლარს აღემატება. ლარით გაცემულ სესხად/საბანკო კრედიტად არ მიიჩნევა ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული საბანკო კრედიტი.

აღნიშნული ცვლილებები არ გამოიყენება რეტროსპექტიულად. რაც შეეხება სესხს/საბანკო კრედიტს, თუ ხელშეკრულება დადებულია ამ ცვლილებების ამოქმედებამდე, ეს ცვლილებები არ ვრცელდება სესხის/საბანკო კრედიტის თავდაპირველ გამცემთან გადავადების, რესტრუქტურისაციისა და რეფინანსირების შემთხვევებზე.

## საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

### გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და  
იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

### გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის  
უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

### თბილისი

#### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66  
Fax: +995 (32) 224 45 69  
[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.